

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
GEORGIAN BAR ASSOCIATION

WWW.GBA.GE



GBA-Newsletter

იანვარი 2017

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროექტმა
საკონსტიტუციო კომისიის უმრავლესობის მხარდაჭერა
მოიპოვა



საკონსტიტუციო კომისიის უდიდესი უმრავლესობა მხარს უჭერს ადვოკატთა ასოციაციის ინიციატივას, რომ კონსტიტუციის 18-ე და 42-ე მუხლებში, ნაცვლად სიტყვისა ”დამცველი” დაფიქსირდეს ტერმინი - ა დ ვ კ ა ტ ი !!!!!

ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი, რომელიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას წარმოადგენს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში აცხადებს: „იმისათვის, რომ დღის წესრიგში აღარასოდეს დადგეს ადვოკატთა გაერთიანების დამოუკიდებლობის, ერთიანობის და თვითმმართველობის სტანდარტების რაიმენაირად გადახედვის საკითხი, კრიტიკულად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, აღნიშნული პრინციპების კონსტიტუციის დონეზე უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ხარისხიანი მართლმსაჯულების ადმინისტრირებას და სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას დემოკრატიულ საზოგადოებაში. ამდენად, ძირითადი კანონის დაგეგმილი გადასინჯვის ფარგლებში, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ტერმინ „ადვოკატის” დაფიქსირება კონსტიტუციის ტექსტში“.

[იხილეთ მიმაგრებული ფაილი : საკონსტიტუციო ცვლილებები](#)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია კიდევ საკანონმდებლო წინადადებას აყენებს



საქართველოს პარლამენტს უკვე გადაეგზავნა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც გულისხმობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილების პროექტს:

(1) 94-ე მუხლის, პირველი ნაწილის “დ” პუნქტი ამოღებულ იქნას;

(2) მუხლი 440-ე მუხლიჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 440 წარმომადგენლის საქმიანობის შეზღუდვას სამოქალაქო პროცესში

პირებს, რომლებიც არ არიან გაწევრიანებული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში, ეკრძალებათ წარმომადგენლის უფლებამოსილების განხორციელება როგორც პირველი, ისე სააპელაციო და საკასაციო ინსტანციების სასამართლოებში, გარდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს, ორგანიზაციების თანამშრომლებისა – ამ ორგანოებისა და ორგანიზაციების საქმეებზე.

[იხილეთ ლინკი](#)

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრთა შეკრებაზე ადვოკატთა უფლებების დარღვევაზე იმსჯელეს



28 იანვარს, ადვოკატთა შეხვედრა გაიმართა, სადაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა ადვოკატების ნათელა გოდერიძისა და მზევინარ კოსტავას ინსტიტუციურ დევნაზე ისაუბრა. მან აღნიშნა: “მალიან ცუდ დღეში ჩავარდება ხელისუფლება, თუ ადვოკატების დევნას თავს არ დაანებებს.” ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე საპროტესტო აქციების გამართვას გეგმავს.

შეხვედრაზე ადვოკატთა ასოციაციის საერთაშორისო მდივანმა დავით ასათიანმა საკონსტიტუციო კომისიაში ინიცირებული საკანონმდებლო წინადადებების შესახებ ისაუბრა.

ზაზა ხატიაშვილის განცხადება სტრასბურგის სასამართლოს მიერ მოსამართლეობის კანდიდატთა სიის დაბრუნების თაობაზე



თანამემამულენო!

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე მივესალმები სტრასბურგში საქართველოდან წარდგენილი მოსამართლეობის კანდიდატების სიის, როგორც ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოსთვის მიუღებელი კანდიდატების, საქართველოსთვის დაბრუნებას.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე პირდაპირ ვადანაშაულებ პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს და იუსტიციის მინისტრს წულუკიანს, იმ სირცხვილში რაც განიცადა საქართველომ. ეს არის ფაქტიურად საქართველოს ბანანის რესპუბლიკების გვერდით დაყენება.

გილოცავთ ყველა მოქალაქეს ამ დიდი გამარჯვებას. ეს არის სამოქალაქო საზოგადოების გამარჯვება, რომელმაც არ დაუშვა ხელისუფლების კანდიდატის დანიშვნა ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში მოსამართლედ. სააკაშვილის რეჟიმმა და ბიძინა ივანიშვილის „ფეოდალურმა“ ხელისუფლებამ საქართველოში მოკლეს სამართლიანი სასამართლო და მოახდინეს მთელი სასამართლო სისტემის „მურუსიზაცია“ სამოქალაქო საზოგადოების ბრძოლამ აჩვენა, რომ გამარჯვების მიღწევა ყოველთვის იქნება შესაძლებელი თუ იბრძოლებ პატიოსნად, არ შეეკვრები არცერთ ხელისუფლებას და იქნები პრინციპული შენი იდეების. ჩვენ გავხდით სახელმწიფო, აზერბაიჯანთან ერთად, ვისაც სტრასბურგის სასამართლოში წარდგენლი მოსამართლეების კანდიდატები უკან დაუბრუნეს. თეა წულუკიანი კიდევ ერთხელ ცრუობს, რომ ჩვენ გვაბრალეbs სიის დაბრუნებას. სტრასბურგის სასამართლოში მოსამართლეობის დანიშვნის ძირითადი კრიტერიუმია მოსამართლეობის კანდიდატის მაღალი ზნეობრივი და მორალური რეპუტაცია. ზაზა ხატიაშვილმა დავუშალე წულუკიანს სტრასბურგის სასამართლოში არ წარედგინა ანა დოლიძე? რომელსაც ჰქონდა გაცილებით მაღალი შეფასება ვიდრე ევა გოცირიძეს. სამოქალაქო საზოგადოებას მოეხსენება, ღია წერილით მივმართე საქართველოს პრემიერს გიორგი კვირიკაშვილს და გავაფრთხილე, რომ წავიდოდი სტრასბურგში და ვიშიმშილებდი თუ მთავრობა წარადგენდა ევა გოცირიძის კანდიდატურას. ჩემი აქცია სტრასბურგში წინასწარ მქონდა დაანონსებული თუ ხელისუფლება წარადგენდა ევა გოცირიძეს.

საქართველოს ხელისუფლებამ ჩათვალა, რომ ვინაიდან მას გასდის ყველანაირი უკანონობა საქართველოში, ეს გაუვიდოდა სტრასბურგში. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა მივაღწიეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ იმის დამტკიცებას, რომ სტრასბურგის სასამართლოში წარდგენილი კანდიდატები იყვნენ პოლიტიკური ნიშნით შერჩეულნი, რაც დიდი გამარჯვებაა.

მინდა პასუხი გავცე საქართველოს ბედნიერი იუსტიციის მინისტრის განცხადებას. თეა წულუკიანის განცხადებით, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მოსამართლის სავარძელის დასაკავებლად წარდგენილი სიის უკან დასაბრუნებლად იმუშავა ადვოკატთა ასოციაციის ხელმძღვანელმა, რომელიც ევა გოცირიძის ფოტოებით და მუქარით, რომ იშიმშილებდნენ, ევროპელებს ეუბნებოდა, არ დაუჭიროთ საქართველოს მხარით. ძალიან ბევრმა ჩვენმა მოქალაქემ და ოფიციალურმა პირმა სამწუხაროდ იმუშავა იმისთვის, რომ საქართველოს გუმინ ეს სია უკან დაბრუნებოდა”.

მინდა, სამოქალაქო საზოგადოებას განვუმარტო, რომ კომისიის სხდომამდე ერთი თვით ადრე, ზაზა ხატიაშვილმა მოვითხოვე იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილის სანდრო ბარამიძის ამოღება გასაუბრების სიიდან, ვინაიდან იგი ბრძანდებოდა იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე, ხოლო იუსტიციის მინისტრი იყო კომისიის თავმჯდომარე, ასევე კომისიის სამდივნო იყო დაკომპლექტებული იუსტიციის სამინისტროდან, რომელიც გასაიდუმლოებული იყო. კომისიის წევრებიდან ანა ნაცვლიშვილის გარდა მხარი არავინ დამიჭირა და არ მოხდა სანდრო ბარამიძის ამოღება კანდიდატთა სიიდან. (აღნიშნულ ფაქტს დაადასტურებს ანა ნაცვლიშვილი, სახალხო დამცელი უჩა ნანუაშვილი და ჯავახიშვილის ინივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი ირაკლი ბურდული, რომლებიც ბრძანდებოდნენ ჩემთან და ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად კომისიის წევრები) ზაზა ხატიაშვილმა განვაცხადე კომისიის სხდომაზე, რომ ამ ფაქტს ასე არ დავტოვებდი და ვიჩივლე სტრასბურგში. ვეკითხები წულუკიანს და კვირიკაშვილს, ეს არ არის ინტერესთა კონფლიქტი? როგორ შეიძლება იუსტიციის მინისტრი იყოს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი პირველი მოადგილე, რომელმაც არ დატოვა თანამდებობა იყოს კომისიის წინაშე კანდიდატი? უბრალო ლოგიკა ვერ გაიგეს ვერც წულუკიანმა და ვერც კვირიკაშვილმა (საცოდავი საქართველო ამათ ხელში) სამაგიეროდ, ინტერესთა კონფლიქტი კარგად იციან რა არის ევროპის საბჭოში, სადაც წესიერი და პატიოსანი პირები მუშაობენ. წულუკიანს და კვირიკაშვილის ევროპელი დეპუტატები ქართველ დეპუტატებში აერიათ.

ნაცვლად იმისა, რომ პრემიერმა კვირიკაშვილმა მოიხადოს ბოდიში საქართველოს წინაშე იმის გამო, რომ მან და წულუკიანი წარადგინეს პოლიტიკური ნიშნით შერჩეული კანდიდატები, რითიც თავი მოსჭრეს საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე, წულუკიანი ჩვენ გვაბრალებს თავის და კვირიკაშვილის უსუსურობას და უპრინციპობას, რაც ამაზრზენი ფაქტია.

თბილისში HELP-ის ელექტრონული პლატფორმის გამოყენებასთან დაკავშირებით ტრენერთა ტრენინგი გაიმართა



25-26 იანვარს, ევროპის საბჭოს მიერ ადამიანის უფლებების სფეროში შექმნილი ელექტრონული სასწავლო პლატფორმის - HELP (ევროპული პროგრამა ადამიანის უფლებებში იურისტების განათლებისათვის) ტრენერთა ტრენინგი გაიმართა, რომელიც საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა კრისტიან ურსემ და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორმა ლაშა მალრაძემ გახსნეს.

HELP-ის პლატფორმა უზრუნველყოფს დისტანციური და დამოუკიდებელი სწავლების კურსებს მოსამართლეების, ადვოკატებისა და იურიდიული პროფესიის პირებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებში.

HELP-ის ქსელი მოიცავს ევროსაბჭოს 47 წევრი ქვეყნის ეროვნული ტრენინგ-ინსტიტუტების (მოსამართლეების და პროკურორების) და საადვოკატო ასოციაციების წარმომადგენლებს.

HELP-ის პლატფორმაზე ელექტრონულად ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სასწავლო მასალა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თაობაზე.

ორდღიან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მოქმედმა ადვოკატებმა, მოსამართლეებმა, პროკურორებმა და სახალხო დამცველის ოფისის წარმომადგენლებმა. მონაწილეები ღონისძიების ფარგლებში გაივლიან ტრენერთა ტრენინგს რომელიც მიზნად ისახავს მათი, როგორც

მომავალი ტრენერების ცოდნის ამაღლებას HELP-ის სასწავლო პროგრამის მეთოდოლოგიასა და დისტანციური სწავლების განხორციელებაში.
ღონისძიება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარეობდა.

მიღება ევროსაბჭოს პროექტთან დაკავშირებით



25 იანვარს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში ევროპის საბჭოს მიერ ადამიანის უფლებების სფეროში შექმნილი ელექტრონული სასწავლო პლატფორმის - HELP (ევროპული პროგრამა ადამიანის უფლებებში იურისტების განათლებისათვის) პროექტთან დაკავშირებით საზეიმო მიღება გაიმართა.

მიღებაზე მოწვეულ სტუმრებს მიესალმნენ და პროექტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილმა, საქართველოში ევროპის საბჭოს ოფისის ხელმძღვანელმა კრისტიან ურსემ, HELP-ის პროექტის განყოფილების უფროსმა ნატალია დე როკმა, HELP-ის პროექტის focal point-მა ბესარიონ ბოხაშვილმა, HELP-ის პროექტის Info point-მა, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრმა ირაკლი ყანდაშვილმა და იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორმა ლაშა მალრაძემ.

HELP-ის პლატფორმა უზრუნველყოფს დისტანციური და დამოუკიდებელი სწავლების კურსებს მოსამართლეების, ადვოკატებისა და იურიდიული პროფესიის პირებისთვის ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებში.

HELP-ის ქსელი მოიცავს ევროსაბჭოს 47 წევრი ქვეყნის ეროვნული ტრენინგ-ინსტიტუტების (მოსამართლეების და პროკურორების) და საადვოკატო ასოციაციების წარმომადგენლებს.

HELP-ის პლატფორმაზე ელექტრონულად ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის სასწავლო მასალა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის თაობაზე.

მომავალი ტრენერების ცოდნის ამაღლებას HELP-ის სასწავლო პროგრამის მეთოდოლოგიასა და დისტანციური სწავლების განხორციელებაში.
ღონისძიება იუსტიციის უმაღლეს სკოლაში მიმდინარეობდა.

ადვოკატთა ასოციაციაში ახლადგაწევრიანებულ ადვოკატებთან შეხვედრა გაიმართა



17 იანვარს, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის საკონფერენციო დარბაზში, ახლადგაწევრიანებულ ადვოკატებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა, რომელსაც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი უძღვებოდა.

ადვოკატებმა მოისმინეს ინფორმაცია ადვოკატთა ასოციაციის მიმდინარე პროექტების, სასწავლო ცენტრის საქმიანობის შესახებ. დიდი ინტერესი გამოიწვია ადვოკატის სკოლის, ადვოკატის ინსტიტუციური დაცვის და ადვოკატის პროფესიის რეგულაციების გაცნობამ.

ზაზა ხატიაშვილმა აღნიშნა, რომ ადვოკატთა ასოციაციისთვის პრიორიტეტული იქნება ახლადგაწევრიანებული ადვოკატების დახმარება და ხელშეწყობა სამომავლო კარიერული წინსვლისთვის.

შეხვედრას ესწრებოდნენ ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი მდივანი ინგა ნებიერიძე, საერთაშორისო მდივანი დავით ასათიანი და აღმასრულებელი საბჭოს წევრი ირაკლი ყანდაშვილი.

სასწავლო ცენტრი

2017 წლის იანვარში მიმდინარე საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი:

- 27 იანვარი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.
- 27 იანვარი – ადამიანის უფლებათა დაცვის სამართლებრივი პროცედურები.
- 27 იანვარი – ადვოკატის როლი მედიაციის განვითარებაში.
- 28 იანვარი – ადვოკატის როლი მედიაციის განვითარებაში.
- 30 იანვარი – ადვოკატთა პროფესიული ეთიკა.
- 31 იანვარი – ადვოკატთა პროფესიული ეთიკა.

2017 წლის თებერვალში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებები

თბილისი:

- 10 თებერვალი – მტკიცებულების მოპოვება დაცვის მხარის მიერ.
- 13 თებერვალი – დისკრიმინაცია და მასთან ბრძოლის ეროვნული მექანიზმები.
- 14 თებერვალი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი.
- 15 თებერვალი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.
- 16 თებერვალი – პირადი ცხოვრების უფლების და რელიგიის თავისუფლების ეფექტური დაცვა.
- 16 თებერვალი – ადვოკატის როლი მედიაციის განვითარებაში.
- 17 თებერვალი – ადვოკატის როლი მედიაციის განვითარებაში.
- 17 თებერვალი – ეკონომიკური დანაშაულები.
- 18 თებერვალი – მოწმის დაკითხვის ახალი წესი.
- 20 თებერვალი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.
- 21 თებერვალი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში .
- 22 თებერვალი – სამედიცინო დავების პრობლემური საკითხები.
- 23 თებერვალი – სამოქალაქო დავების განხილვის თავისებურებანი სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში.
- 24 თებერვალი – მტკიცებულებათა დასაშვებობა სისხლის სამართლის პროცესში.
- 25–26 თებერვალი – ტრენერთა ტრენინგი თემაზე: საპროცესო შეთანხმება და მასთან დაკავშირებული ადამიანის უფლებათა ასპექტები.

ქუთაისი:

- 20 თებერვალი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.
- 28 თებერვალი – ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის სამართლებრივი რეგულაციები.

ბათუმი:

- 22 თებერვალი – შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები.
- 27 თებერვალი – ეკონომიკური დანაშაული.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:

ტელ: 555070786 / 555010605 / 555007708ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე / შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33/36

ეთიკის კომისია

27 იანვარს ადვოკატთა ასოციაციის ოფისში ეთიკის კომისიის 2014-2016 წლების საქმეთა მიხედვით მომხმარებელთა კვლევის შედეგების პრეზენტაცია გაიმართა, რომელიც ჩატარდა PROLOG-ის მოწვევით CRRC-ის მიერ.

17 თებერვალს იგეგმება მრგვალი მაგიდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებათა საჯაროობასთან დაკავშირებით. მრგვალი მაგიდა ორგანიზებული იქნება PROLOG-ის პროექტით და ეთიკის კომისიის წევრების გარდა მასში მონაწილეობას მიიღებენ: ამერიკელი ეთიკის ექსპერტი - ჯეიმს მაკკალი, პერსონალური მონაცემების დაცვის ინსპექტორის აპარატი, არასამთავრობო სექტორი, მოსამართლეები და ადვოკატები.

თბილისი

ძმ. ზუბალაშვილების ქ. N36

ტელ.: (+99532) 222 46 54

ელ. ფოსტა: info@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ქუთაისი

ნოდარ დუმბაძის ქ. N8

ტელ.: (0431) 247 247

ელ. ფოსტა: info.qutaisi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

თელავი

ვარდოშვილის 15

ტელ.: (0350) 272 015

ელ. ფოსტა: info.telavi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

ბათუმი

სარაჯიშვილის ქ. 22

ტელ.: (0422) 29 29 02

ელ. ფოსტა: info.batumi@gba.ge

სამუშაო საათები 10:00-18:00

შესვენება 14:00-15:00

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

ტელ: (+995 32) 2987878 / 555070786 / 555010605 / 555007708

ელ. ფოსტა: education@gba.ge / sascavlocentri@gba.ge

სამუშაო საათებია 10:00-დან 18:00 საათამდე

შესვენება 14:00-დან 15:00 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #33